

საავტორო უფლების დაცვა

მადი ჩანტლაქი*

თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 13 იანვრის №2/5-249-2002 გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში დატოვა უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 8 ივლისის შესაბამისმა განჩინებამ, ეხება საავტორო უფლების, გარდაცვლილი პირის საავტორო უფლებისა და ღირსების დაცვას.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 15 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე ერთ ნარმოებად განხილვისათვის გაერთიანდა სამოქალაქო საქმეები ჟორდანიას სარჩელის გამო მოპასუხე ჯანელიძის მიმართ საავტორო უფლების დარღვევის შესახებ (№20-196-2002) და გ. აბულაძის სარჩელის გამო მოპასუხე ჟორდანიას მიმართ ავტორობისა და ღირსების დაცვის შესახებ (№2/5-249-2002).

1. ძირითადი ფაქტები

მოსარჩელე ჟორდანიამ სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიას და მოპასუხე ჯანელიძისაგან მოითხოვა დარღვეული საავტორო უფლების აღდგენა. მოსარჩელის მტკიცების მიხედვით, თ. აბულაძემ და მისმა შემოქმედებებმა ჯგუფმა – მასთან შეუთანხმებლად და მის მოუხსენიებლად – გამოიყენეს და არსებითად მიითვისეს მისი ნაწარმოები „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“, რომლის გარეშეც ვერ შეიქმნებოდა ფილმი „მონანიება“.

ნაწარმოები „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“ მოსარჩელემ დაწერა 1960-62 წლებში, დღემდე მისი გამოქვეყნება ვერ შეძლო (1963 წელს შეეცადა გამოქვეყნებინა ჟურნალ „ცისკარში“). გამოქვეყნება რომ ვერ მოხერხდა, მოსარჩელემ გადაწყვიტა თავისი ნაწარმოების რეალიზაცია ეკრანსა და სცენაზე; ამ პერიოდში იგი საჯარო ბიბლიოთეკაში შეხვდა კინორეჟისორ თ. აბულაძეს, რომელსაც გადასცა თავისი მოთხრობა იმ იმედით, რომ სცენარის მოწონების შემთხვევაში ფილმს ერთად გადაიდებდნენ. აღნიშნულზე თ. აბულაძემ უარი განაცხადა და ურჩია, მოსკოვში რეჟისორ მიხეილ რომისთვის მიემართა.

მოსარჩელემ ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად წარმოადგინა შემდეგი მტკიცებულებები: კომპიუტერის მეშვეობით დაბეჭდილი სცენარი „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“, 1968 წელს ჟურნალ „დროის“ მე-2 ნომერში გამოქვეყნებული მოთხრობა „სადღაც ზღვის პირას“ და 1989 წელს ჟურნალ „დროის“ მე-7 ნომერში გამოქვეყნებული ნაწყვეტი ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიდან – „საით წავიდა მამა“.

მოპასუხე ჯანელიძემ სარჩელი არ ცნო და ის მიიჩნია უსაფუძვლოდ. მისი განმარტებით, მან თ. აბულაძესთან და კვესელავასთან ერთად მიიღო მონაწილეობა საყოველთაოდ ცნობილი მხატვრული ფილმის – „მონანიების“ – სცენარის შექმნაში. მისთვის მოსარჩელის ნაწარმოები არ იყო ხელმისაწვდომი, რადგანაც ის არ გამოქვეყნებულა და საერთოდ არ იცოდა, არსებობდა თუ არა მოსარჩელის სცენარი 1963 წლისათვის; ასევე უცნობი იყო, რა ფორმით არსებობდა დავის საგანი. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელე ვერ უთითებს, თუ

* თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო პალატის თავმჯდომარე.

რომელი ქონებრივი საავტორო უფლება დაირღვა მის მიერ და კონკრეტულად როგორ გამოიხატა იგი. მოსარჩელემ ვერ მიუთითა ნაწარმოების რეპროდუცირების შემთხვევებზე და მხოლოდ ალევორიებით ცდილობდა საავტორო უფლების დარღვევის სურათის შექმნას. მოპასუხემ მოითხოვა, არ დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელის სარჩელი უსაფუძვლოების გამო.

2002 წლის 12 ნოემბერს გ. აბულაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო შემდეგი მოთხოვნები: 1) სასამართლომ დაავალდებულოს ჟორდანია, აღკვეთოს თ. აბულაძის ავტორობის უფლების შელახვა „მონანიების“ სცენართან დაკავშირებით; 2) უარყოს მის მიერ საჯაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (გაზეთებით) გავრცელებული თ. აბულაძის ავტორობისა და ღირსების შემლახველი ცნობები, კერძოდ ის, რომ თ. აბულაძემ მიითვისა ჟორდანია რომელიმე ნაწარმოები „მონანიების“ სცენარის შექმნისას. უარყოფა მოხდეს იმავე საშუალებით (პრესით), რომლითაც მოხდა ცნობების გავრცელება.

მოსარჩელე (თ. აბულაძის მემკვიდრე) მამის თ. აბულაძის ავტორობისა და ღირსების შემლახველად მიიჩნევს მოპასუხის მიერ გავრცელებულ შემდეგ გამონათქვამებს:

1) „აბულაძემ გაცილებით უფრო დიდი დანაშაული ჩაიდინა, ვიდრე მის ესოდენ გახმაურებულ ფილმში გაკიცხული საქციელია“; „ამდენად, მეტი საბუთია წარმოდგენილი ამ მაფიოზური გზის საჩვენებლად“ (სტატია „რაკი ხმა ამოვიღე, ბოლომდე ვიბრძოლებ“, გაზეთი „კაბადონი“ – 8, №23, 08.09.1990 წ.).

2) საქმე ის არის, რომ აბულაძე იქ, სადაც ძალიან უჭირს მოპარულის დაფარვა, სიზმარს და გადასაღებ მოედანს იშველიებს“; „...რეჟისორს ნაკითხული, დამუშავებული და დაზეპირებული აქვს სხვისგან წაღებული და მოპარული სცენები, პირები, მაგრამ ხალხმა ეს არ იცის. ასევე ითრევს ის დანაშაულში ადამიანთა მთელ ჯგუფს“ (იგივე სტატია).

3) „...დაიბეჭდა ჩემი წერილების ციკლი, სადაც წარმორჩენილია სხვათა აზროვნების, შემოქმედების მიმთვისებლები, ისინი, ვისაც მეცნიერებაში, ლიტერატურაში და ხელოვნებაში პლაგიატორებს ეძახიან...წარმოდგენილი მასალებით დოკუმენტურადაა მხილებული რეჟისორ თ. აბულაძის და მისი „გონებრივი ცენტრის“ მიერ ჩემი ნაწარმოების გამოყენება და მითვისება ფილმ „მონანიების“ შექმნისას. ნაწარმოებისა და ფილმის შედარებით ნაჩვენებია პლაგიატის გზა“. (სტატია „აბულაძემ „მონანიება“ მომპარა“, გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 1996 წ., 9 დეკემბერი).

4) ქვლივიძე არა მარტო მთარგმნელი და გამხმომოვანებელია „მონანიებისა“, არამედ რეჟისორის მაფიოზურ-დანაშაულებრივი გზის მონაწილე. (სტატია „მაცნე ცისია “მონანიება“, გაზეთი „ამერ-იმერი“, 1978 წ., 14 სექტემბერი).

2. თბილისის საოლქო სასამართლოს შეფასება და კვალიფიკაცია

სასამართლოს მიერ მოსარჩელე ჟორდანია სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გ. აბულაძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: სასამართლომ დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-9 კარით დადგენილი ნორმებით, ვინაიდან მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის საავტორო უფლების ობიექტთან დაკავშირებული ურთიერთობები წარმოიშვა „სავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონისა და 1997 წლის 25 ნოემბრის სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე. კანონის 67-ე მუხლის თანახმად, იგი ვრცელდება იმ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვნენ ამ კანონის ამოქმედების შემდეგ.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ:

ჟორდანის მიერ წარმოდგენილი სცენარი სარჩელის განხილვამდე არ გამოქვეყნებულა. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგინდა იმის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხე ჯანელიძემ რაიმე ფორმით დაარღვია მოსარჩელის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 512-ე, 503-ე მუხლებით გარანტირებული უფლებები მოსარჩელის მიერ საქმის მასალებში წარმოდგენილ ნაწარმოებზე – „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“.

მოსარჩელემ ვერ მოიტანა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სადავო ნაწარმოები ნამდვილად არსებობდა 1960-63 წლებში იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი საქმის მასალებში იყო წარმოდგენილი:

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის შესახებ, რომ მის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი მოთხრობა „სადავო ზღვის პირას“ არის 1960-62 წლებში შექმნილი მისი ნაწარმოების – „იუბილარის საქორწინო მოგზაურობის“ – ნაწყვეტი; არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ 1968 წელს ჟურნალ „დროის“ მე-2 ნომერში გამოქვეყნებული მოთხრობა, რომელიც ამჟამად საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელის სცენარის ნაწყვეტად, იმ პერიოდშიც ამ ფორმით იქნებოდა გამოხატული. აღნიშნული ვერ დაადასტურა ვერც ჟურნალ „დროის“ მე-2 ნომერში 1968 წელს გამოქვეყნებულმა მოთხრობამ – „სადავო ზღვის პირას“. ის ჟურნალში გამოქვეყნდა როგორც დამოუკიდებელი მოთხრობა და არ ახლავს შესავალი, საიდანაც შეიძლება გაირკვეს, რომ გამოქვეყნებული მოთხრობა ავტორის რომელიმე ნაწარმოების ნაწყვეტია. ასევე ვერ დადასტურდა ის ფაქტი, რომ საქმეში წარმოდგენილი სადავო ნაწარმოები ნამდვილად გადაეცა თ. აბულაძეს 1963 წელს საჯარო ბიბლიოთეკაში.

სასამართლო განხილვისას არ დადასტურდა ჟორდანის ნაწარმოების („იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“) გამოყენების ფაქტი და, შესაბამისად, მითვისება იმ მიზეზის გამო, რომ „მონანიების“ სცენარის შექმნისას მოსარჩელის ნაწარმოები მოპასუხე ჯანელიძისათვის არ ყოფილა ხელმისაწვდომი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ დასახელებული არც ერთი გარემოება სამართლებრივი თვალსაზრისით არ ქმნის საავტორო უფლების დარღვევის ნიშნებს, ხოლო რაც შეეხება იდეებსა და კონცეფციებს, მათზე არ ვრცელდება საავტორო უფლება.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 448-ე მუხლის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, მიუხედავად მათი ფორმისა, დანიშნულებისა და ღირსებისა, აგრეთვე, მათი რეპროდუქციის წესისა. საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებებზე, რომლებიც გამოქვეყნებულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც ავტორის შემოქმედების ნაყოფის რეპროდუქციის შესაძლებლობას იძლევა.

გ. აბულაძის სარჩელთან დაკავშირებით, სასამართლომ მისი მამის, ან გარდაცვლილი ცნობილი რეჟისორის თ. აბულაძის, ღირსების შემლახველად მიიჩნია გავრცელებული 4 გამონათქვამიდან გაზეთ „ამერ-იმერის“ 1998 წლის ოქტომბრის თვეში გამოქვეყნებული შემდეგი გამონათქვამი: „მიხეილ ქელიძე არა მარტო მთარგმნელი და გამხმრვანებელია „მონანიებისა“, არამედ რეჟისორის (თ. აბულაძის) მაფიოზურ-დანაშაულებრივი გზის მონაწილე“. შესაბამისად, გამოყენებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავენ მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამებიან.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეიძლება გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია

სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსებობის განმსაზღვრელია სიკვდილის შემდეგაც.

სასამართლოში ადამიანი გვევლინება როგორც პირი და როგორც პიროვნება. როგორც პირს, მას აქვს უფლებები და ეკისრება მოვალეობები. პიროვნება კი ადამიანის სულიერ ღირსებებს აერთიანებს. გარდაცვალების შემდეგ ადამიანი ქრება როგორც პირი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, მაგრამ რჩება როგორც პიროვნება. იგი რჩება ადამიანთა ცნობიერებაში და სიკვდილის შემდეგაც ინარჩუნებს ღირსებას საზოგადოებისათვის.

გარდაცვლილი პიროვნების დაცვით ხორციელდება არა მხოლოდ გარდაცვლილის ახლობლების, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესი, ამიტომაც კოდექსში არ არის მოცემული იმ პირთა წრე, რომლებსაც გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვის მოთხოვნის დაყენების უფლება აქვთ. ეს შეუძლიათ როგორც გარდაცვლილის მემკვიდრეებს, ისე სხვა პირებს.

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ახალი სამოქალაქო კოდექსის ნორმების გავრცელების შესახებ იმ სამი გამონათქვამის მიმართ, რომლებიც ჟორდანიას მიერ გავრცელებულ იქნა 1997 წლის 25 ნოემბრამდე.

სასამართლომ არ გაიზიარა გ. აბულაძის წარმომადგენლის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ, ვინაიდან მისმა მარწმუნებელმა მამის გარდაცვალების შემდეგ (1994 წელს) შეიტყო პოლემიკის არსებობის შესახებ, ხოლო 2002 წელს შეიტყო, რომ მას, როგორც მემკვიდრეს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის საფუძველზე შეუძლია დაიცვას გარდაცვლილი მამის ღირსება, ამიტომ 1997 წლის 25 ნოემბრამდე არსებული ურთიერთობებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ახალი სამოქალაქო კოდექსი.

1964 წლის სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, მხოლოდ მოქალაქეს და ორგანიზაციას ჰქონდა მინიჭებული უფლება, სასამართლოს საშუალებით მოეთხოვა მისი პატივისა და ღირსების დაცვა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი არის საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის სიახლე, რომლის საშუალებით გარდაცვლილის მემკვიდრეებსა და სხვა პირებს მიენიჭათ გარდაცვლილი პირის ღირსების დაცვის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მიხედვით, სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ წარმოიშვნენ; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კანონები და კანონქვემდებარე აქტები იმ ურთიერთობებს აწესრიგებს, რომლებიც მისი მიღების, გამოცემისა და ოფიციალური გამოქვეყნების შემდეგ წარმოიშვნენ.

სასამართლომ გ. აბულაძის სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა იმ ნაწილში, სადაც ის მამის ავტორობის უფლების შელახვად მიიჩნევს მოპასუხის მიერ პრესის საშუალებით გავრცელებულ შემდეგ სიტყვებს: „ქურდი“, „პლაგიატი“, „მაფიოზი“. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელე გ. აბულაძის მოთხოვნა, აღკვეთილიყო მოპასუხე ჟორდანიასაგან თ. აბულაძის ავტორობის უფლების შელახვა „მონანიების“ სცენართან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული მოთხოვნის გადასაწყვეტად სასამართლომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 67-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამოიყენა 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

დასახელებული კოდექსის 512-ე მუხლის თანახმად, ავტორობის უფლების დაცვა შეიძლება იმ შემთხვევაში მოითხოვოს პირმა ან, გარდაცვალების შემთხვევაში, მისმა მემკვიდრემ: თუ ნაწარმოები გამოყენებულ იქნა ავტორთან ან მის უფლებამონაცვლებთან ხელშეკრულების დაუდებლად (ამ კოდექსის მე-500 მუხლი), ან დაირღვა ავტორის თანხმობის გარეშე ნაწარმოების გამოყენებისათვის დადგენილი პირობები (ამ კოდექსის 506-ე, 507-ე მუხლები), აგრეთვე, თუ დაირღვა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება (503-ე მუხლი) ან ავტორის სხვა პირადი არაქონებრივი უფლებები.

„ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მე-6 bis მუხლის თანახმად (საქართველო შეუერთდა 1994 წლის 24 ნოემბერს), ნაწარმოების ავტორის სიკვდილის შემდეგ პირს უფლება აქვს, ავტორის ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და ამ უფლებების დათმობის შემდეგაც, მოითხოვოს ნაწარმოების მიმართ თავისი ან გარდაცვლილი პირის ავტორობის აღიარება და შეენიშნა აღმდგომს ამ ნაწარმოების ყოველგვარ გაუკუღმართებას, დამახინჯებას ან სხვაგვარ შეცვლას, აგრეთვე, ნაწარმოების სხვაგვარ ხელყოფას, რომელსაც შეუძლია ავნოს ავტორის ღირსებასა და რეპუტაციას.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ავტორის ღირსების ან რეპუტაციის შელახვა გულისხმობს სხვა პირის მიერ ნაწარმოებში ისეთი ცვლილების შეტანას, რომელიც ავტორს ან მის სამართალმემკვიდრეს ღირსებაშელახულად აგრძნობინებს თავს. საქმის მასალებზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ჟორდანიას არ დაურღვევია თ. აბულაძის ავტორობის უფლება „მონანიების“ სცენართან დაკავშირებით. თ. აბულაძე დღემდე ითვლება „მონანიების“ სცენარის ერთ-ერთ თანაავტორად.